ბებიას

საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო **„ბებიას"** დაფუძნდა 2018 წლის 7 სექტემბერს. **„ბებიას"** ქართული ბრენდია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბებიებსა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს და სიმბოლურია, რომ ეს კავშირი ბებიის მოქსოვილი ყველაზე თბილი პროდუქტით მყარდება. „ბებიას" **სოციალური მისიაა** ხანდაზმული ადამიანების და განსაკუთრებით ქალბატონების - ბებიების გაძლიერება მათი ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფად.
სოციალური საწარმო სახლში მყოფ ბებიებს საშუალებას აძლევს, მიიღონ დამატებითი შემოსავალი საყვარელი ხელსაქმით, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის მაღალი ხარისხის თბილ და ეკომეგობრულ პროდუქტს.

პროდუქცია

„ბებიას" მომხმარებელს სთავაზობს ბებიების ხელით, 100%-ით ნატურალური ქართული შალით მოქსოვილ ქუდებსა და სხვა აქსესუარებს. ჩამონათვალშია:

- **ქუდები**
- **წინდები**
- **ხელთათმანები**

ქუდები გათვლილია როგორც საცალო, ისე კორპორატიულ გაყიდვებზე. სურვილისამებრ, კორპორატიული სერვისის სახით, „ბებიას" მომხმარებელს სთავაზობს ბრენდირებული იარლიყების დამზადებასა და ქუდებზე განთავსებას.

სოციალური შედეგები

- სოციალურ საწარმოში ბრენდის ქუდებს, ამჟამად, რეგულარულად, ოცამდე მქსოველი ბებია ქმნის
- კათარზისიდან დასაქმებულ ბებიებს, რომლებსაც უკიდურეს სიღარიბეში უწევთ ცხოვრება, გაუჩნდათ დამატებითი შემოსავალი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაუბრუნდათ ცხოვრებისეული შემართება
- სოციალურ საწარმოს წვლილი შეაქვს გარემოსდაცვითი მიმართულებით. ქუდები, სპეციალურად საწარმოსთვის დამზადებული, 100%-ით ნატურალური თუშური შალით იქსოვება, რომელთა ნაწილი უკვე 100%-ით ბუნებრივი საღებავით არის შეღებილი. ეს კი ამცირებს რეცხვის დროს მიკროქსოვილების გამოყოფას, რაც სინთეტიკური ტანსაცმლის შემთხვევაში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ უდიდეს წყაროს წარმოადგენს

www.bebias.ge

+995 577 273 090

info.bebias@gmail.com

https://www.facebook.com/bebiasmoqsovilia/